საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №245

2008 წლის 10 მაისი

ქ. თბილისი

საქართველოს საპატრიარქოსათვის სახელმწიფო ტყის ფონდის ყოფილი ყვარლის სატყეოდან ვაზოვანის სახელობის ეკლესიის მიმდებარედ მიჩენილი უბნის (26 ჰა ფართობი) გამოყოფის შესახებ

1. საქართველოს ტყის კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილისა და ,,სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილი უბნის გამოყოფისა და ამ უბნის ტერიტორიაზე ტყითსარგებლობის, მისი შეზღუდვის, შეჩერებისა და აკრძალვის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 10 დეკემბრის №506 ბრძანებულების შესაბამისად:

ა) დაკმაყოფილდეს საქართველოს საპატრიარქოს თხოვნა და რელიგიური და სარიტუალო ღონისძიებებისათვის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს საპატრიარქოს ვაზოვანის სახელობის ეკლესიის მიმდებარედ სახელმწიფო ტყის ფონდიდან გამოეყოს მიჩენილი უბანი;

ბ) მიჩენილ უბნად განისაზღვროს კახეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს მართვას დაქვემდებარებული ყოფილი ყვარლის სატყეოს კვარტალ №65-ში უბანი №9-დან ფართობი 6 ჰა, კვარტალ №66-ში უბანი №11-დან ფართობი 12 ჰა, კვარტალ №66-ში უბანი №17-დან ფართობი 4 ჰა და კვარტალ №66-ში უბანი №18-დან ფართობი 4 ჰა, სულ – 26 ჰა;

გ) მიჩენილი უბნის მიწის ნაკვეთის საზღვრებისა და ფართობების დაზუსტება მოხდეს კოორდინატთა სისტემაში მომზადებული აზომვითი ნახაზის შესაბამისად;

დ) მიჩენის ვადად განისაზღვროს ოცი წელი;

ე) საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ მიჩენილი უბნის გამოყოფის მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთ თვეში უზრუნველყოს საქართველოს საპატრიარქოსთან ხელშეკრულების გაფორმება და მიჩენილი უბნის გადაბარება.

2. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მ. სააკაშვილი